გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 27

2025 წლის 14 მარტი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და არჩილ ხმიადაშვილს შორის არსებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2022 წლის 6 დეკემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა ტლაშაძეს (პ/ნ 59001011822) შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება №4, რომლის საგანს წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში მდებარე 3885 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 66.46.21.014.616.

მითითებული აღნაგობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, აღნაგობის უფლების მქონე პირი ვალდებული იყო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.46.21.014.616) განეხორციელებინა სულ ცოტა 200000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიცია და 2 (ორი) წლის გასვლის შემდეგ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში წარედგინა აუდიტის დასკვნა განხორციელებული ინვესტიციების ოდენობის შესახებ (აუდიტორის მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა აღნაგობის უფლების მქონე პირს). ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით, აღნაგობის უფლების მქონე პირი ვალდებული იყო კომერციული დანიშნულების ობიექტი - შენობა აეშენებინა და ფუნქციონირება დაეწყებინებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადაში. ამასთან, მშენებლობის პროექტი შეთანხმებული უნდა ყოფილიყო გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის განყოფილებასთან, პროექტის შეთანხმებისას და მშენებლობის დაწყებისას კი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამწვანების სივრცე.

ნანა ტლაშაძემ (პ/ნ 59001011822) 2023 წლის 28 მარტის №19/2023087276-20 განცხადებით მოითხოვა მუნიციპალიტეტის თანხმობა, გაესხვისებინა მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება არჩილ ხმიადაშვილზე (პ/ნ 59001031794). ხოლო, არჩილ ხმიადაშვილმა (პ/ნ 59001031794) 2023 წლის 28 მარტის №19/19/2023087278-20 განცხადებით, გამოთქვა სურვილი. ნანა ტლაშაძისგან მიეღო აღნაგობის უფლება, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის №94 განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ ნანა ტლაშაძესთვის (პ/ნ 59001011822) მიეცა თანხმობა აღნაგობის უფლების (საგანი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ

კარალეთში მდებარე 3885.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.46.21.014.616) გასხვისებაზე და არჩილ ხმიადაშვილისთვის (პ/ნ 59001031794) გადაცემაზე, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. აღნიშნულის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ თანხმობა მისცა ნანა ტლაშაძეს (პ/ნ 59001011822) აღნაგობის უფლების გასხვისებაზე და არჩილ ხმიადაშვილისთვის (პ/ნ 59001031794) გადაცემაზე, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებით. შესაბამისად, აღნაგობის უფლება გადაეცა არჩილ ხმიადაშვილს (პ/ნ 59001031794).

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია არჩილ ხმიადაშვილს (პ/ნ 59001031794) 2024 წლის 24 დეკემბრის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფინანსური პრობლემების გამო, დათქმულ ვადაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა, დღეის მდგომარეობით ჩატარებული აქვს მიწის მოსწორების სამუშაოები და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებას 2 (ორი) წლის ვადით, რაც, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და არჩილ ხმიადაშვილს (პ/ნ 59001031794) შორის არსებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - აღნაგობის უფლებით გადაცემულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტის სოფელი კარალეთი; ს/კ 66.46.21.014.616, ფართობით 3885 კვ.მ.) სულ ღირებულება 200000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების და კომერციული დანიშნულების ობიექტის - შენობის აშენების და ფუნქციონირების დაწყების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და არჩილ ხმიადაშვილს (პ/ნ 59001031794) შორის არსებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - აღნაგობის უფლებით გადაცემულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტის სოფელი კარალეთი; ს/კ 66.46.21.014.616, ფართობით 3885 კვ.მ.) სულ ღირებულება 200000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების და კომერციული დანიშნულების ობიექტის - შენობის აშენების და ფუნქციონირების დაწყების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე